



MES 6 21 0000583048



16/06/2021

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი
02.06.2021**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2021 წლის 6 ივნისს.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;

ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

ბორის ლეჟავა - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით;

დავით ბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

ევა ევალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;

ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამავე დეპარტამენტის პროფესორი;

ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის სკოლის ხელმძღვანელი, შპს "მრავალ პროფილური სამედიცინო ცენტრი "ინოვას" (innova medical center)" ზოგადი ქირურგი;

მაია გოგაშვილი - შპს "საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის პროფესორი;

ეკატერინეადაშია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;

ირმა ბურდულაძე - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის ლიცენზირებისა და აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

ნინო ნანავა - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის

მ ო ა დ გ ი ლ ე ;

ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი ;

თორნიკე ბექაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ;

თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ;

სანდრო ტაბატაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ;

თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ;

სოფიკო ქურასხედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ;

ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ;

დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ;

შოთა კუყერაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ;

ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი ;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:

დავით ჩერქეზიშვილი - რექტორი;

რუსუდან ჩიქოვანი - ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხში;

ზვიად როგავა - ვიცე-რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

თეა იმედაძე - ვიცე-რექტორი, საერთაშორისო და ადმინისტრაციულ საკითხებში;

ვასილ კიკუტაძე - ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

ნატო ალავიძე - ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

დავით ყიფიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ელენე ზურაბიშვილი - ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

ქეთევან აფთარაშვილი - განათლების დეპარტამენტის უფროსი;

კახაბერ ლაზარაშვილი - ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე;

დავით სიხარულიძე - ასოცირებული პროფესორი;

ლიზა გოდერძიშვილი - ასოცირებული პროფესორი;

ლილი ბიბილაშვილი - პროფესორი;

ზურაბ ბეჟაშვილი - ასისტენტ-პროფესორი;

2. შპს - ევროპის უნივერსიტეტი:

ნინო ტალიაშვილი - რექტორი ;

სოფიო ხუნდაძე - ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

გოჩა თუთბერიძე - პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;

მარიამ ბოჭორიშვილი - სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ;

ნათია ჯოჯუა - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ;

ელენე ჩოქური - სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. ივან ლებანი;
2. აზიმ მირზა ზადეჰი;
3. ლილი შატბერაშვილი;
4. ქეთევან კანკავა;
5. ნინო ზარნაძე;
6. მარიამ ბანძელაძე;
7. გიორგი ქურდიანი;
8. ენდი გიბსი;
9. მარგუს ვიგიმაა;
10. ია ფანცულაია;
11. ნინო დოლიძე;
12. ხათუნა საგანელიძე;
13. გიორგი კაკაბაძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ

არ ჰქონდათ თვითაცილება, საბჭოს წევრმა დავით ბოსტოლანაშვილმა განაცხადა თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ივან ლებანი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს რათა მისცა შესაძლებლობა, ყოფილიყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ასევე მადლობა გადაუხადა ჯგუფის სხვა წევრებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ადმინისტრაციულ/აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, რადგან მონაწილეობა მიიღეს ავტორიზაციის პროცესში. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულ ვითარებაში ჩაატარა ავტორიზაციის ვიზიტი, 3 დღის განმავლობაში ჩატარდა 36 ინტერვიუ, თითოეული მათგანი მიმდინარეობდა 40-45 წთ-ის განმავლობაში, ვიზიტი ჩატარდა ჰიბრიდულ რეჟიმში, ქართველი ექსპერტები იმყოფებოდნენ ადგილზე, უცხოელები კი ერთვებოდნენ ონლაინ, ასევე რთულ რეჟიმში მოუწიათ დასკვნის დაწერა, რადგან დაემთხვა საქართველოში უქმე დღეებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, რაც შეეხება შეფასებას, ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა შეედარებინათ 2019 წლის დაწერილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იმ დასკვნისთვის, რომელიც 2021 წელს დაწერეს. მისი მხრიდან აღნიშნა, რომ აშკარა იყო მნიშვნელოვანი პროგრესი, რადგან არცერთი სტანდარტი აღარ იყო შეფასებული, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა დარჩა რეკომენდაცია სტანდარტთან მიმართებაში, რომელსაც მისი მოსაზრებით დაწესებულება სერიოზულად მოეკიდებოდა და შეასრულებდა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საუკეთესო გამოცდილებად/პრაქტიკად შეფასდა ხარისხის უზრუნველყოფის გამართული სისტემა, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რაც გულისხმობდა, როგორც სტუდენტების/ლექტორების მობილობას, ასევე საგანმანათლებლო/სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციას და ისეთი გაერთიანების წევრობას, როგორც იყო ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია, რაც ასევე მნიშვნელოვანი იყო ექსპერტთა ჯგუფის გადასახედიდან. მისი თქმით აღსანიშნავი იყო, რომ უნივერსიტეტმა ჩადო უფრო დიდი ინვესტიცია, რაც ჩანდა მის ახალ კამპუსსა და შენობაში, ამავდროულად დაწესებულების ძალისხმევა კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაში. მოსაზრებები რაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააჟღერა, ასახული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაშიც, იგი იმედოვნებდა, რომ განსახილველი უნივერსიტეტი გააგრძელებდა აკადემიურ საქმიანობას, სადაც პროფესორები და სტუდენტები ერთად იმუშავებდნენ განვითარებისა და უკეთესი საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს თუ სურდათ რაიმეს დამატება.

ექსპერტი, აზიმ მირზა ზადეჰი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მისი თქმით მისთვის დიდი პატივია, იყოს აღნიშნულ სხდომაზე და მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ ძირითად მიგნებებსა და ხედვებზე, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა განსახილველ უნივერსიტეტთან დაკავშირებით, მან მზადყოფნა განაცხადა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების რექტორი, დავით ჩერქეზიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რომლებმაც პანდემიიდან გამომდინარე საკმაოდ რთულ ვითარებაში ინტენსიური სამუშაოები განახორციელეს, დაწესებულებამ და ექსპერტებმა გაიარეს 3 დღიანი დატვირთული პერიოდი. ის პირველ რიგში გამოეხმაურა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საერთო შეფასებას, გამოხატა მადლიერება, რადგან ძალიან ბევრი ნიუანსი სწორად იყო დანახული ექსპერტთა ჯგუფის მიერ და სწორად მოხდა იმ პროგრესის შეფასება, რომელიც უნივერსიტეტმა განახორციელა მოკლე პერიოდში. დაწესებულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო გარე შეფასების ფაქტორი, რადგან უნივერსიტეტი არა მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო კვლევების, არამედ გარე შეფასების მიერ გაცემული რეკომენდაციების/რჩევების შედეგად, დგამდა მნიშვნელოვან ნაბიჯებს მომავალი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე მას სურდა განეხილა რეკომენდაციები სტანდარტების მიხედვით და დაეფიქსირებინა დაწესებულების პოზიცია.

რექტორის თქმით დაწესებულების წარმომადგენლებმა წაიკითხეს პირველი სტანდარტის აღწერილობითი ნაწილი, სადაც ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება, მათ სწორად/ნათლად შეაფასეს და ოფიციალურად დაადასტურეს.

პირველ სტანდარტში გაცემული იყო ერთი რეკომენდაცია (თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით), რომელიც სრულად განმავითარებელი ხასიათის იყო, ამასთანავე პირველი სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და საუკეთესო პრაქტიკასთან გადიოდა ისიც, რომ სამოქმედო გეგმაში მიღწევადი მიზნები/ამოცანები იყო დასახული, რექტორის მოსაზრებით დაწესებულებამ ამისთვის ბევრი იმუშავა და სწორედ ეს იყო მათი პრიორიტეტი, რომ უნივერსიტეტს ჰქონოდა დამლევადი ამოცანები და მიზნები, რომლებიც მოკლე და ეფექტური გზით მიიყვანდა მისიასთან, შესაბამისად ის, რომ მომავალში სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმასთან ერთად წარმოდგენილი ექნებოდა წინა გეგმების შესაძლო მიღწევები და წარუმატებლობები, ძალიან სასიამოვნო რეკომენდაცია იყო და დაწესებულება აპირებდა გაეთვალისწინებინა, მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობა გარკვეულწილად არსებულ გეგმებში აქვს დაწესებულებას, მაგრამ ვინაიდან მოკლე ციკლია უნივერსიტეტის საქმიანობის, 2013 წელს შეიქმნა და 2015-ში მან უარი თქვა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით საქმიანობის გაგრძელებაზე და გაიარა ხელახალი ავტორიზაცია, შესაბამისად ფიზიკურად მოკლე პერიოდი იყო აღნიშნული 2 წლიანი პერიოდი და ფართო და ღრმა ინფორმაცია ფიზიკურად ვერ მოხვდებოდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

მეორე სტანდარტთან მიმართებით რექტორმა განაცხადა, რომ სწორად იყო აღწერილი დაწესებულების საქმიანობა ამ მიმართულებით და გამოყოფილი იყო სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის დანერგვა დაწესებულებაში, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო საუნივერსიტეტო განვითარებისათვის, ინსტიტუტი შეიქმნა 2020 წელს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის შექმნილი არ იყო და ძირითადად დისტანციურ რეჟიმში წარიმართებოდა სასწავლო პროცესი რამდენიმე შერეული საგნის გარდა, მიმართვიანობა და ჩართულობა საკმაოდ მაღალი გახლდათ. საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც განხორციელდა სტუდენტების ინფორმირების მიზნით საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ განვითარებას, რეკომენდაციები გაცემული არ არის. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რათა აღნიშნეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონდომება, რომ უნივერსიტეტი ყოფილიყო მოწოდების სიმალლეზე, შესაბამისად დაწესებულებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა პროგრამების განვითარების პროცესის განვითარება, რაც ნათლად იყო აღწერილი, როგორც ექსპერტის შეფასებაში, ასევე იმ რეგულაციებში, რომლებიც უნივერსიტეტში არსებობდა, რაც ინტერვიუებიდანაც არაერთი მიმართულებით დაფიქსირდა, მითუმეტეს, როდესაც ხდებოდა თარგმანი, შესაძლებელია, ბოლომდე მიმღებლობა ყოფილიყო პრობლემატური, აქედან გამომდინარე არ იყო გასაკვირი, რომ

ექსპერტებმა რამდენიმე საკითხთან მიმართებით ინფორმირება ვერ მოახერხეს. 3.2 კომპონენტში გაცემული იყო რეკომენდაცია (უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანხვედრა), აკრედიტებული იყო დაწესებულების პროგრამების 80% და მიმდინარე პერიოდში უწევდა აკრედიტაცია რამდენიმე პროგრამას, მათ შორის მედიცინის პროგრამასაც, რეაკრედიტაციის გავლა პროგრამებს გარკვეულ ვადებში ევალებოდათ, დასკვნაში ეწერა, რომ მიესადაგებოდა არსებული მეთოდები შედეგებს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, მაგ., მედიკოსის პროგრამის ადრეული ეტაპის კურსებში განხორციელებული სწავლა-სწავლების მეთოდები კიდევ უფრო განვითარებულიყო და ჩატარებულიყო მეტი მულტიდისციპლინური სესიები, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება და განვითარებინა, როგორც სტუდენტების ჩართულობა, ასევე მათ ინფორმირებულობაზე მოახდენს დიდ ზეგავლენას, აღნიშნულ პროფესიაში მიუღებელი არაფერი იყო, პროგრამებს მუდმივად სჭირდებოდათ განვითარება. რექტორმა პროგრამების განვითარებასა და სწავლა-სწავლების რეგულაციებზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, ეკა ლუაშვილს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, ეკა ლუაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, იგი დაეთანხმა რექტორს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი განვითარდა უნივერსიტეტში, მითუმეტეს იმ სირთულეების გათვალისწინებით, რაც უკვე დასახელდა, დაწესებულება აცნობიერებდა ექსპერტების იმ პასუხიმგებლობასა და სიღრმისეულ დამოკიდებულებას, რაც მათი უნივერსიტეტის შეფასებისადმი გამოიჩინეს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პროგრესის სწორად დანახვისთვის/შემჩნევისთვის და იმ ძლიერი მხარეების წარმოჩენისთვის, რაც უნივერსიტეტს გააჩნია.

მან განაცხადა, რომ კონტექსტიდან გამომდინარე იყვნენ ავტორიზაციის მიზნისთვის წარმატების ჩარჩოში პროცესის მონაწილე პირები, მათი საგანმანათლებლო სივრცეში მუშაობის სპეციფიკისა და სულისკვეთების გათვალისწინებით, რომ ყველანაირი რეკომენდაცია შეიძლება იყოს სასარგებლო/გასაზიარებელი, დაწესებულებას მაინც მართებდა რეკომენდაციის პრაქტიკაში გადატანა, იმის შესახებ თუ როგორ გაიზიარებდნენ და მათი დღის წესრიგი როგორი იქნებოდა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების შემდეგ, რას გააკეთებდა და როგორ ნაბიჯებს გადადგამდა, სწორედ ამ სულისკვეთებაში მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაცია, რომელიც 3.2 კომპონენტის მიზნებისთვის იყო განსაზღვრული, კომპონენტი წარდგენილი იყო მხოლოდ 1 რეკომენდაციით (უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანხვედრა), თვითონ ტერმინი „უკეთესად დაუახლოვდეს“, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეეძლოთ ეთქვათ, რომ ეს იყო საგანმანათლებლო საქმიანობის გენერალური ხაზი, რადგან მათი საქმიანობა ეძღვნებოდა იმას, რომ რაღაც ყოველთვის გაეხადათ უკეთესი, დაწესებულებაში სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგებთან ბმაში იყო შემდეგი სიტუაცია: პროგრამები, რომლებიც დაწესებულებამ ავტორიზაციის მიზნით წარადგინა იყო აკრედიტებული ახალი სტანდარტებით, რაც არ ნიშნავდა მხოლოდ ფაქტს, ნიშნავდა ძალიან რთულ და მნიშვნელოვან პროცესს - აკრედიტაციის სტანდარტებთან თავსებადობას, როდესაც პროგრამები თავისი შინაარსით ორიენტირებული იყო არა მხოლოდ აკრედიტაციის სტანდარტებთან თავსებადობაზე, არამედ მას გაემართლებინა სტუდენტის მოლოდინი და მიეღო კომპეტენტური სტუდენტები, რაც პირდაპირ კავშირში იყო სწავლის შედეგებზე, ხარისხობრივად გასვლასთან. ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის მიერ პროგრამები აკრედიტებული იყო და აკრედიტაციის შედეგებით პროგრამებს ჰქონდათ სრული შესაბამისობები, ეს უნივერსიტეტს უქმნიდა გარკვეულ ვალდებულებას, რომ ეს ფაქტობრივი მდგომარეობა მიეღო და რადგან მოწონებული იყო ასეთი ფორმით, მასში არ განეხორციელებინა იმ ტიპის ჩარევები, რომელიც არა პროგრესისკენ იქნებოდა მიმართული, არამედ შეიძლებოდა დაეზიანებინა ის მდგომარეობა, რაც სწავლის შედეგების გარშემო გააჩნდა კითხვის ნიშნებს.

დაწესებულება ვერ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან დასკვნაში არ იძებნებოდა არანაირი მსჯელობა/მტკიცებულება, რომელიც უნივერსიტეტს დაარწმუნებდა, რომ ის

პროგრამები, რომლებიც მათ ჰქონდათ წარდგენილი, საჭიროებდა სწავლა-სწავლების მეთოდების იმგვარ გადახედვას, საუბარი არ იყო იმ საკითხზე, რომ პროცესი უწყვეტი უნდა ყოფილიყო და დაწესებულება იზრუნებდა მის გადახედვასა და გაუმჯობესებაზე იმგვარ გადახედვაზე, რომ დამდგარიყო თავსებადობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, მეტიც მათ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ თითოეულ სილაბუსში არსებობდა ახალი ტიპის რუბრიკა, კერძოდ განსაზღვრული იყო სწავლის შედეგები და თითოეულ მათგანთან იყო თავსებადი სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდები წარდგენილი, თითოეულ პროგრამასა და სასწავლო კურსში. აღნიშნული 2 ფაქტობრივი გარემოებისა და რეკომენდაციასთან დაკავშირებული მსჯელობის გათვალისწინებით, დაწესებულების წარმომადგენლებს ჩამოუყალიბდათ მოსაზრება, რომ უნივერსიტეტი ფიზიკურად მოკლებულია შესაძლებლობას, სადაც უკვე დადასტურებულია შედეგები სწავლა-სწავლების მეთოდები მჭიდრო ბმაშია, დაეწყოს მისი გადახედვა. ამასთან ერთად დაწესებულების წარმომადგენლები დაფიქრდნენ, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცებულება, არა მარტო პროგრამის ჩანაწერი და აკრედიტაციის შედეგები, რომ ისინი ამართლებენ შედეგს, ექსპერტებმა დასკვნაში მიუთითეს/აღნიშნეს კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები, მათი გამოკითხვის შედეგები, სტუდენტებთან ინტერვიუები, დამსაქმებლებთან გამოკითხვის შედეგები, მათი გაერთიანებით მიღებული კომპლექსური ანალიზი დაწესებულებას ეუბნებოდა, რომ მათი კურსდამთავრებულები იყვნენ კმაყოფილი, ანუ გამართლდა მათი მოლოდინი, დასაქმდნენ წარმატებით, რაც ნიშნავდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გამოყენებული მეთოდები სწავლის შედეგებზე გასვლას უწყობდა ხელს, სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე ფიქრობდა დაწესებულება, რომ გაუჭირდებოდათ აღნიშნული რეკომენდაციის ასეთი სახით მიღება. იგი გამოეხმაურა რექტორის ნათქვამს, რომ დაწესებულება მუდმივად ისწრაფვის სწავლის მეთოდების რევიზიაზე, რევიუსა და მის გადახედვაზე, რათა უკეთ იყოს წარმოდგენილი და უკეთ წარმოაჩინოს თითოეულ სტუდენტის შესაძლებლობები.

რექტორმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე საუბრობდა ზოგადად პროგრამების შესახებ, რადგან დასკვნაშიც არ იყო დაკონკრეტებული და განზოგადება მეტად იყო აქცენტირებული, სწორედ ეს იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოსაზრება, თუმცა რექტორი აღწერითი ნაწილიდან გამომდინარე ხედავდა, რომ საუბარი იყო მედიცინის პროგრამაზე და შეიძლება რეკომენდაცია ჩანდა ყველა პროგრამასთან მიმართებით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველა პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია დაწესებულების მისწრაფებაა მათი მუდმივი განვითარება რასაც მოწმობს უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების სტრატეგიაც, რომელიც მიმდინარე სემესტრიდან დამტკიცდა/ჩაეშვა პროცესში და მასში დაწესებულების საერთაშორისო პერსონალი და პარტნიორი იყო ჩართული, არაერთი სერიოზული აქტივობა/კვლევა იყო დაგეგმილი, რათა შედეგები აქტიურად გამოეყენებინა დაწესებულებას.

რექტორმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე ეხებოდა პროგრამების ნაწილს და ერთი წყაროდან გამომდინარეობდა, მან დასკვნის აღწერილობითი ნაწილიდან ამოიკითხა „EEU-ს შეფასების სისტემა არის მკაფიო და ყოვლისმომცველი, თუმცა გარკვეულწილად საყურადღებოა უნივერსიტეტის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნა... შეფასების სისტემა, ასევე, არასაკმარისია სამუშაო ადგილზე-დაფუძნებული შეფასების კუთხით, როცა სტუდენტები კლინიკებში მორიგეობენ... კლინიკური კომპეტენციების მრავალი ასპექტის შეფასებისას OSCE-ს ხარვეზების მიუხედავად, იგი არ მოქმედებს როტაციების უმეტესობისას. გასაუბრებების თანახმად, OSCE ჩატარდება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე ჩაირიცხნენ ამ პროგრამის 2020 წლის განახლების შემდეგ, ხოლო ის სტუდენტები, რომელთაც დაწყებული აქვთ სწავლა მედიცინის პროგრამაზე, არ აბარებენ ასეთ გამოცდას...“ რექტორის მოსაზრებით აქ ინფორმაციული ვაკუუმის ფაქტორი იყო, რადგან როდესაც პროგრამა შეიცვალა და ჰქონდა 31 მარტამდე ვალდებულება, მომხდარიყო საგანმანათლებლო პროგრამის მედიცინის მიმართულებით შეცვლა/ინტეგრირება

არსებული საგნებისა და სასწავლო კურსებისა, მან შეასრულა აღნიშნული, რაც ნიშნავდა, რომ ძველი სტუდენტები გადავიდნენ ახალ პროგრამაზე. შესაძლებელია კრედიტების აღიარებისას, იმის გამო რომ არ დაზიანებულიყო სტუდენტთა ინტერესი, მოხდა ინდივიდუალური გეგმების საშუალებით ახალ პროგრამაზე გადასვლის პროცესი, რაც გაგრძელდებოდა არა უმეტეს მიმდინარე სემესტრის ბოლომდე, ანუ ახალი სემესტრისთვის ყველა სტუდენტი უნდა ყოფილიყო გადასული ახალ პროგრამაზე, სტუდენტთა 80% უკვე ახალი პროგრამის მიხედვით სწავლობდა, შესაბამისად ძველ პროგრამაში ცვლილების შეტანა OSCE-ს ინტეგრაცია არარელევანტური იყო, რადგან უნივერსიტეტი ორი პროგრამით ვერ ასწავლიდა, შესაბამისად რეკომენდაცია, რომ OSCE უნდა არსებობდეს ახალ პროგრამაშიც და ახალ სტუდენტებს შეძლებოდათ ახალი პროგრამით სწავლა, დაწესებულებას უკვე შესრულებული აქვს. იყო მეორე საკითხი, რომ უნივერსიტეტს პროგრამებში გაეთვალისწინებინა განმავითარებელი შეფასებები და რადგანაც ასევე რეკომენდაციაში ეწერა, რომ მომხდარიყო OSCE-ს ტიპის ადრეული დანერგვა, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე იყვნენ ჩარიცხულნი, ალბათ იქიდან გამომდინარეობდა, რომ ძველი პროგრამის სტუდენტები თავის დროზე ვერ შეძლებდნენ, თუმცა კურსდამთავრებულები ვერ გამოიკითხნენ, რადგან სულ 3 კურსდამთავრებული ჰყავს უნივერსიტეტს, რომლებიც ნამდვილად დაადასტურებდნენ, რომ ე.წ. ფილტრის გამოცდა იმ სამ სტუდენტს OSCE-ის საშუალებით ჩაბარებული ჰქონდათ. მან სიტყვა გადასცა ასოცირებულ პროფესორს, კახაბერ ლაზარაშვილს პროგრამის განვითარების გეგმასთან დაკავშირებით სასაუბროდ და ასოცირებულ პროფესორ, ნატო ალავიძეს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სასაუბროდ. ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, კახაბერ ლაზარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აქტიურად იყო ჩართული მედიცინის ახალი პროგრამის განვითარების პროცესებში. მან განმარტა, რომ ექსპერტებთან შეხვედრის დროსაც ჰქონდათ საუბარი, რომ მედიცინის პროგრამის განვითარებაში ჩართული იყო რამდენიმე მსოფლიო ექსპერტი, კერძოდ, პროფესორი რამეში, გლაზგოს სამედიცინო უნივერსიტეტიდან, რომელიც იყო ხარისხის მიმართულებით ჩართული, სულ მოკლე ხანში უნდა ჩართულიყვნენ ქვიმერის უნივერსიტეტიდან აკადემიური პერსონალი, რომლებიც აქტიურად დაეხმარებოდნენ პროგრამის განვითარებაში. ამ ეტაპზე კი გადადგმული იყო გარკვეული ნაბიჯები. დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ აღსანიშნავი იყო საბაზო საგნების ინტეგრირება კლინიკურ საგნებთან, რომლებიც საკმაოდ ხარისხიანად მიმდინარეობდა ძველ პროგრამაშიც, თუმცა განვითარების მიზნით დაისახეს მრავალი სხვა მეთოდების/გზების გამოყენება, კერძოდ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მედიცინის მიმართულებაში, რაზეც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები და კლინიკები საუბრობდნენ ტკივილის მართვის/მენეჯმენტის თაობაზე, დაწესებულების წარმომადგენლებმა საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად გადაწყვიტეს ტკივილის მართვის მენეჯმენტის მეთოდების შესწავლა, თუ რა არის ტკივილი, მასთან არსებული მართვის სხვადასხვა მეთოდები დანერგილიყო და დაწყებულიყო პირველივე კურსიდან, რომელიც პირველიდან მეექვსე კურსის სასწავლო წლების განმავლობაში სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახით იქნებოდა მიწოდებული სტუდენტებისათვის, იმისათვის რომ აღექვათ თუ როგორ უნდა ემართათ ტკივილი უნდა ცოდნოდათ თუ საიდან იწყებოდა იგი, რისთვისაც აუცილებელი იყო ანატომიის, ფიზიოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიისა და ასეთ საბაზო საგნებზე აქცენტის გამახვილება, რადგან სტუდენტებს თავიდანვე შეესწავლათ ის მთელი რიგი საბაზო მეცნიერებები, რაც მათ შემდეგ კლინიკურ საგნებში დასჭირდებოდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა განეხილათ საკითხები რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, კახაბერ ლაზარაშვილმა განმარტა, რომ მან ერთ-ერთი მაგალითი მოიყვანა ტკივილის მართვის სახით, ეს იყო ერთ-ერთი სახე თუ როგორ ხდებოდა ინტეგრირება საბაზო საგნების კლინიკურ საგნებთან. განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ იგეგმება მედიცინის ფაკულტეტის პროგრამაში. სტუდენტებთან კომუნიკაცია ხდებოდა ვერბალური სახით,

შემდგომში უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების გეგმიდან გამომდინარე, მედიცინის ფაკულტეტზე სავალდებულოდ დაინერგებოდა, რომ ყველა პროფესორს შუალედური შეფასების უკუკავშირი წერილობით და საჭიროების შემთხვევაში ვერბალურად გაეცა სტუდენტებისთვის, აღნიშნულიყო თითოეული საკითხი, ძლიერი და სუსტი მხარეები, მაგრამ ამავე დროს უნდა გათვალისწინებულიყო პროფესიული ენა, თუ რა დონეზე უნდა გადასცემოდა სტუდენტს ახსნა-განმარტება. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს უნდა მისცემოდა საშუალება ჰქონოდა დამატებითი მეცადინეობები, რაც დაეხმარებოდათ არა მხოლოდ სტუდენტის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ უნივერსიტეტისა და პროფესორ-მასწავლებლების შემდგომი სწავლის ხარისხის განვითარებასა და სხვადასხვა მეთოდების დანერგვაში. რაც შეეხება კომუნიკაციის პროცესს, ერთ-ერთი მთავარი სიახლე იყო ის, რომ ევროპის უნივერსიტეტებში აპრობირებული მეთოდი, რომელსაც ერქვა კომუნიკაციისა და პროფესიული ენის ლაბორატორია, რომლის საფუძველზე სტუდენტებს უნდა ჰქონოდათ საშუალება ვიდეო ჩანაწერის, სიმულაციური აქტივობები ჩაეტარებინათ საკლასო ოთახში, რის შემდეგაც მათ ექნებოდათ შესაძლებლობა აღექვათ თუ როგორ უნდა მომხდარიყო კომუნიკაცია არა მხოლოდ პაციენტთან, არამედ კოლეგებთან და კლინიკის გარეთ არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ეს უნდა ყოფილიყო საკლასო ოთახის პირობებში კომუნიკაციის გამაუმჯობესებელი უნარის მეთოდი, რომელსაც სტუდენტები კლინიკური სწავლების გავლისას პრაქტიკაში გამოიყენებდნენ.

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ნატო ალავიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ცენტრს კარგად ორგანიზებული საავტორიზაციო პროცესისთვის, ამასთანავე მადლობა გადაუხადა რექტორს, რადგან მისცა საშუალება ყოფილიყო ამ გუნდის წევრი.

კომუნიკაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, რა ჰკითხეს სტუდენტებს ექსპერტებმა, შეიძლება ჰკითხეს თუ ჰქონდათ დამოუკიდებელი კომუნიკაციის საშუალება, რაც ცხადია ვერ ექნებოდათ, რადგან კანონი პაციენტის შესახებ კრძალავდა სტუდენტის დამოუკიდებელ კომუნიკაციას, ყველა შემთხვევაში, სადაც პაციენტი სწავლის ობიექტად გამოიყენებოდა საჭირო იყო ინფორმირებული თანხმობა, რასაც პედაგოგის გარეშე ვერ გააკეთებდა სტუდენტი და კანონმდებლობის ფარგლებში შეზღუდვა მხოლოდ ეს იყო, სხვა შემთხვევაში პაციენტთან კომუნიკაციის არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა.

რექტორმა განაცხადა, რომ განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო პორტფოლიოს დანერგვა, რომელიც არ ფასდებოდა და არა ის, რომელიც შეფასებადია, შესაბამისად პროცესი უკვე დაწყებული იყო. განმავითარებელ შეფასებაზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ვიცე-რექტორს, ზვიად როგავას.

ვიცე-რექტორი, ზვიად როგავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ობიექტური შეფასებისათვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა განმავითარებელ შეფასებას, რისი მიზნითაც ყველა სასწავლო კურსის შუალედურ შეფასებაში გათვალისწინებული იყო შეფასების განხილვა, გარდა ამისა აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ეძლეოდა რეკომენდაცია, რომ სტუდენტების წერილობით ნაწერებში მიეთითებინათ ის ხარვეზები, რომლებიც სტუდენტს ჰქონდა დამზებული, რათა შემდგომში გაეთვალისწინებინა და გაეუმჯობესებინა სწავლების პროცესი, სამაგისტრო პროგრამაზე განმავითარებელი სახით მათ ჰქონდათ ე.წ. პროსპექტუსი. როდესაც მტკიცდებოდა კვლევითი გეგმა, ამ შემთხვევაში სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან მიეღო სასარგებლო რჩევები, რომლებიც შემდგომში გამოადგებოდა კვლევის წარმოებისას. სადოქტორო პროგრამებში კი იყო 2 განმავითარებელი შეფასება, რაც გულისხმობდა, რომ დოქტორანტს კვლევის პროცესში უნდა წარედგინა 2 შუალედური კვლევითი ნაშრომი, რომლებიც ასევე არ ფასდებოდა და იღებს სასარგებლო რჩევებს რომ გააუმჯობესოს და უფრო დახვეწოს ნაშრომი.

რექტორმა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას რეკომენდაციები ფაქტობრივად არ ჰქონდა, აღწერით ნაწილში იყო საკითხები, რომელთა შესახებაც შესაძლებელი იყო მეტი საუბარი, თუმცა შესაძლებელია დისტანციური რეჟიმის გამო დაიკარგა რაღაც საკითხები. ერთ-ერთი საკითხი იყო ის, რომ მოწვეული ლექტორები მეტად იყვნენ ჩართულები კვლევით საქმიანობაში, ვიდრე აფილირებული პერსონალი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. თუ კი მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ყველა ჩართულია, მისთვის უცნობია, რადგან ინტერვიუს არ დასწრებია, ან პროექტი, ან მათი დაფინანსებისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელსაც იყენებენ და ვისთანაც იყენებენ დაწესებულებას აღრიცხული აქვს და მათთვის ცნობილია. ფიზიკურად რეალობას არ შეესაბამება, რადგან დაწესებულება მეტად ზრუნავს მის აკადემიურ პერსონალზე, არც მოწვეულ პერსონალს ეუბნებიან უარს, თუმცა მათი პრიორიტეტი აკადემიური პერსონალის წახალისებაა.

4.2 კომპონენტის შესახებ მან განაცხადა, რომ გაცემულია ერთი რეკომენდაცია (გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის), სავარაუდოდ ექსპერტები გულისხმობდნენ, რომ პერსონალი დატვირთული იყო და მათი შრომისუნარიანობა საკმარისი უნდა ყოფილიყო იმ პროცესისთვის რომელსაც უძღვებოდნენ. მან დასკვნიდან ამოიკითხა ფრაზა: „უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული აკადემიური სამუშაო დატვირთვის სქემა გვიჩვენებს, რომ პერსონალი აჭარბებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ყოველკვირეულ სავალდებულო სამუშაო დატვირთვას“. მან განაცხადა, რომ გახსნილი ჰქონდა აკადემიური დატვირთვის სქემა რაც მიწოდებული იყო ექსპერტებისთვისაც, ციფრობრივად არ იყო გადამეტებული და აღნიშნულიც იყო, რომ აკადემიური დატვირთვა შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც 40 საათიან სამუშაო დატვირთვას ითვალისწინებდა, ამ ნაწილში არ იყო გადაჭარბება, როგორც ჩანს გაუგებრობა იყო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ სავალდებულო სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს განსაზღვრული ყოველკვირეული სამუშაო დატვირთვა, ხელაღებით, რომ ლექტორს ხელშეკრულების პირობებით უნდა შეესრულებინა არაუმეტეს 8 ან 6 საათისა ასე არ ქონდა განსაზღვრული, მას შეთავაზებული ჰქონდა მინიმალური დატვირთვა და ხელს აწერდა პერსონალი, რომ შეძლებდა მინიმალური დატვირთვის აღებას და ამაზე იყო საუბარი. დატვირთვებშიც, რაც იყო მოცემული, უნდა ეგულისხმათ, არა მხოლოდ, ხელშეკრულებაში მითითებული ციფრს ზემოთ თუ იყო დარღვევად ჩათვლილიყო, არამედ მინიმალურის ქვევით თუა მაშინ იყო დარღვევა. ეს ალბათ ფორმატის ბრალი იყო, რადგან განსაზღვრული იყო მინიმალური დატვირთვა, მინიმალური სავალდებულო დრო, რასაც უნივერსიტეტი შესთავაზებდა პერსონალს.

მისი განცხადებით, მეხუთე სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციები გაცემული არ ჰქონდათ. 5.2 კომპონენტი (სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები) რეკომენდაცია გაცემული არ არის, რისთვისაც რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან შერეული ფორმატის მიუხედავად ძალიან ბევრი ინფორმაცია მიიღეს, მისთვის გასაკვირი იყო. დაწესებულებას არგუმენტირებულ პოზიციასში გამოჩნდა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აღწერით ნაწილში მითითებული ჰქონდა, რომ, უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მეთოდოლოგია, თუმცა დაწესებულებამ პასუხში არ დაწერა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზი იყო, რომელიც შესაძლებელი იყო გადასულიყო შესავალ ნაწილში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

6.1 კომპონენტთან (კვლევითი საქმიანობა) დაკავშირებით რექტორმა განაცხადა, რომ გაცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რაც მიუთითებს ექსპერტების პროფესიონალიზმზე, რადგან წლების წინ შეხვედრიათ შემთხვევა, რომ თუ ექსპერტი დაწერდა რეკომენდაციას, ავტომატურად უნდა ემოქმედა სტანდარტის შეფასებაზე, რაც ასე არ უნდა ყოფილიყო, რადგან მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაციის შინაარსი/სიღრმე, მისი მოცულობა და სხვა, მან მადლობა

გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს განმავითარებელი რეკომენდაციებისათვის, რომლებიც რეალურად პროცესის განვითარებაზე იყო ორიენტირებული და არ მოქმედებდა სტანდარტზე, ასევე, რამდენიმე საკითხთან მიმართებით საჭიროებდა ინფორმაციის დაზუსტებას აღწერილობით ნაწილში, მან დასკვნიდან ამოიკითხა: „მიმდინარე პროექტებში მონაწილე პერსონალიდან ნახევარი აფილირებულია უნივერსიტეტთან“, სადაც ანალოგიური სიტუაცია იყო, რომ ვერ მოხდა ინფორმაციის ბოლომდე მიღება, რადგან დაწესებულების რეგულაციებით მინიმალურად ჰქონდათ განსაზღვრული, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა ეარსება მინიმუმ 50% აფილირებულ პერსონალს, აქედან გამომდინარე ეს არ ეხებოდა პროექტებს, რადგან დაწესებულება არ ეუბნებოდა უარს არც მოწვეულ და არც აკადემიურ პერსონალს, მათი ბონუს სისტემა პირველ რიგში ორიენტირებული იყო აფილირებულ პერსონალზე, რომლის თანახმადაც ის ვრცელდებოდა მხოლოდ აფილირებულ პერსონალზე და მიმართვის შემთხვევაში, თუ მოწვეული პერსონალი მიმართავდა უნივერსიტეტს, იგი განიხილავდა და გადაწყვეტდა კონკრეტული პროექტის მხარდაჭერის შესახებ. ის რომ ფიზიკურად, მხოლოდ ნახევარი იყო აფილირებული ამის კონკრეტულად თქმა შეუძლებელი იყო, რადგან წინა წლის შიდა საუნივერსიტეტო გრანტების გამარჯვებული მხოლოდ აფილირებული პერსონალი იყო, თუმცა საგრანტო კონკურსებში მოთხოვნა იყო სტუდენტების ჩართულობა, რაც პროექტის ერთ-ერთ სავალდებულო ნაწილს ნიშნავდა, ურთულესი საკითხი იყო კვლევითი საქმიანობის ნაწილში ეარსება ისეთ მექანიზმს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავდა რამდენი საათი უნდა შეესრულებინა კვლევით ნაწილში. დაწესებულება წინასწარ უსაზღვრავდა მინიმალურ დატვირთვას, თუ რა უნდა შეესრულებინათ კონკრეტულ სემესტრში/სასწავლო წელს აკადემიურ პერსონალს. მაგალითად, პროფესორს ევალუბოდა 8 საათის შესრულება. მეორე საკითხია, როგორ უჭერდა მხარს პროფესორს უნივერსიტეტი, რომ შეესრულებინა საკუთარი ვალდებულება და კვლევით საქმიანობაში დატვირთულიყო 8 საათი. ამის ცალკე მექანიზმები იყო, რათა აღნიშნული პროცესი აღწერადი ყოფილიყო, თუმცა დაწესებულება წინასწარ ვერ დაუთვლიდა კვლევითი საქმიანობის დატვირთვის რაოდენობას, არამედ, უთვლიდა უკვე შესრულებული საქმიანობიდან გამომდინარე. შესაძლებელი იყო ყოფილიყო ნაშრომის/სტატიის ავტორი, ან კონფერენციის მონაწილე, ან ეხელმძღვანელა სტუდენტისთვის, რეცენზია შეექმნა, რედაქტორი ყოფილიყო ან ა.შ. წინასწარ ესაზღვრებოდათ რა დრო უნდა შეესრულებინათ, მაგრამ როდესაც იღებდა უნივერსიტეტი, რომ პროფესორმა დაასრულა მუშაობა, ყველა აქტივობა საათობრივად იყო შეფასებული. რეცენზირებაზე დახარჯული კონკრეტული დრო, მონოგრაფიაზე კონკრეტული დრო და ა.შ. შესაბამისად წინასწარ უსაზღვრავდა კონკრეტულ დროს, ხოლო შემდეგ საბოლოო ჯამში უთვლიდა შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე აკადემიური დატვირთვის შესრულებულ მოვალეობას, რაზეც ასევე მოქმედებდა ბონუს სისტემა. უნივერსიტეტის სახელით განხორციელებულ თითოეულ აქტივობაზე ჰქონდა კონკრეტული ხელფასი, რომელიც წინასწარ იყო ცნობილი პროფესორებისთვის. ასევე ფორმატის პრობლემა იყო, რადგან დასკვნაში ეწერა, რომ უნივერსიტეტს გაცხადებული ჰქონდა მეოთხე ამოცანა - სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში, რაზეც დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს და განმარტა, რომ ეს მათი მისიის ერთ-ერთი ნაწილი იყო, დასკვნაში ასევე ეწერა, რომ ინტერვიუების დროს არ აღნიშნულა კვლევის შედეგების სასწავლო პროგრამაში ინტეგრაციის კონკრეტული მაგალითები, მისი თქმით შესაძლებელია დროის ლიმიტის გამო ვერ მომხდარიყო მაგალითების დასახელება. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტისთვის ცალსახა იყო ორი მიმართულება, სამეცნიერო და კვლევითი, მან განაცხადა, რომ ექსპერტებიც აღნიშნავდნენ, რომ დაწესებულებას საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი გააჩნდა და შესაბამისად არაერთი სახელმძღვანელო, მონოგრაფია და ნაშრომი იყო მათი აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული, რომლებიც ესწრებოდნენ სხდომას და ჩართულნი იყვნენ პროგრამების განხორციელება/განვითარების პროცესში, მათი ნაშრომები ასახული იყო სილაბუსებშიც, ასევე დანერგილი იყო და მათი გამოყენებით მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ასევე, მათი პერსონალის მიერ დღის სინათლეზე გამოტანილი/გამოცემული

ნებისმიერი ახალი ნაშრომი, მიდიოდა განხილვა და ხდებოდა დანერგვა, სტუდენტების ინფორმირება. მისი თქმით კვლევა მოიცავდა არაერთ ასპექტს: უნივერსიტეტის შიდა კვლევები, სტუდენტის კმაყოფილება, აკადემიური პერსონალის კმაყოფილება, შრომის ბაზრის კვლევა, ასევე ინსტიტუციური კვლევები, რომლებსაც უნივერსიტეტი ახორციელებდა სწავლა-სწავლების განვითარების კუთხით, მაგ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტთან ერთად დიდი კვლევა, რომელიც უკვე დასრულებულია და შედეგები უნდა ასახულიყო დაწესებულების მომავალ განვითარების პროცესში, უკვე ასახული იყო და დასკვნაშიც ეწერა, რომ ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, 3 უნივერსიტეტთან ერთად, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდა და დიდი დროის განმავლობაში ხორციელდებოდა, რომლის შედეგებიც აისახა პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წაკითხული ჰქონდა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და სთხოვა ესაუბრა ძირითად საკითხებზე, მიეცათ განმარტებები იმაზე, რაზეც ექსპერტებმა ისაუბრეს.

რექტორმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციის თანახმად უფრო მეტად უნდა ჩართულიყვნენ თანამშრომლები. ასევე, მითითებული იყო, რომ ვებ გვერდზე გასწორებულიყო ტექნიკური ხარვეზები, რაც უკვე გაითვალისწინა დაწესებულებამ.

7.1 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის (უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები) შესახებ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰყავდა 250 სტუდენტი და საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო წარმოდგენილი. მითითებული იყო დასკვნაში, რომ რამე თუ დაზიანდებოდა უნდა გამოცვლილიყო და ეს ასეც ხდებოდა და არაერთი შემთხვევა არსებობდა ამისი. მისი თქმით რაოდენობა გაიზრდებოდა პერმანენტულად, რადგან უნივერსიტეტი არ გეგმავდა დიდი რაოდენობით სტუდენტების გაზრდას, მაგრამ 80-100 სტუდენტით ყოველწლიურად გეგმავდა, რაც სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც იყო გაწერილი, რომ 350-400 უცხოელი სტუდენტის რაოდენობა, შესაბამისად მათთვის საკმარისი სიმულატორების რაოდენობა უნივერსიტეტს ჰქონდა, მაგრამ უნივერსიტეტი გაზრდიდა ამ რაოდენობასაც. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ინტერაქტიული მაგიდა, ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ახალ კამპუსში იყო, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სასწავლო პროცესში, რაც დასკვნაშიც იყო ასახული.

ბიბლიოთეკის შესახებ რეკომენდაციასთან (უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა) დაკავშირებით რექტორმა განაცხადა, რომ როგორც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, საბჭოს წაკითხული აქვს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისად ამ თემაზე რექტორი აღარ ისაუბრებდა. მან განმარტა, რომ ელექტრონულ წიგნებს დაწესებულება ყიდულობდა მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის, სტუდენტს კი ჰქონდა მხოლოდ წვდომის/წაკითხვის უფლება, მას არ ჰქონდა გადამრავლების უფლება. ბექტდური სახით მხოლოდ კონკრეტული გვერდები მიეწოდებოდა მოთხოვნის შესაბამისად.

7.4 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის (სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად) შესახებ მან განაცხადა, რომ რეკომენდაციის თანახმად უნდა შექმნილიყო სარეზერვო ფონდი. მისი მოსაზრებით აღნიშნული შეიძლება არსებობდეს, რადგანაც უნივერსიტეტის ბიუჯეტი, მისი საფინანსო პოლიტიკა სრულად იყო მდგრადობის გარანტი, განხორციელებული იყო უზარმაზარი ინვესტიციები, ბიუჯეტში მითითებული იყო ყველანაირი ხარჯები, მათ შორის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც, რომელიც სხვადასხვა ხარჯებში იყო აკუმულირებული. გარდა ამისა, უნივერსიტეტის საფინანსო პოლიტიკას მართავდა პარტნიორთა კრება და რექტორი, ამასთან ერთად უნივერსიტეტს, როგორც შპს-ს ჰყავდა საინვესტიციო დირექტორი, რომელიც იყო უცხოელი, წარმოდგენილ დოკუმენტაციაშიც ჩანდა, რომ რეალური ინვესტიციები 2.500.000-ზე მეტი იყო, ამ ყველაფრის ფონზე, კერძო უნივერსიტეტი

ორიენტირებული იყო მოგებაზე, რომელიც მას 850.000 ჰქონდა ეს უკვე მისთვის რეზერვი იყო, მართალია მოგების რეინვესტიცია განახორციელა და სხვა პროცესებში გაუშვა, მაგრამ მისთვის ესეც რეზერვი იყო. ამ ყველაფრის ფონზე სარეზერვო ფონდის შექმნა ამას დამატებული რეკომენდაცია, რომელსაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა სტანდარტის შეფასებაზე, მისი მოსაზრებით გადასახედი იყო და სთხოვა საბჭოს წევრებს ემსჯელათ აღნიშნულ საკითხზე.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ გასაგები და ნათელი იყო სურათი და რაიმე საკითხის დაზუსტების სურვილის შემთხვევაში სიტყვა გადასცა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ დაწესებულებამ ამომწურავად ისაუბრა და ექსპერტთა დასკვნიდანაც ჩანდა სერიოზული გაუმჯობესება, მათ შორის ხარისხთან დაკავშირებითაც. იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, განსაკუთრებით 3.2 კომპონენტთან დაკავშირებით, სადაც გაცემული იყო რეკომენდაცია - უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანხვედრა. მისი მოსაზრებით საუბარი იყო უკვე აკრედიტებულ პროგრამებზე და სთხოვა ექსპერტებს უფრო მეტი ესაუბრათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაცია და რა ედო მას საფუძვლად?

ექსპერტმა, ქეთევან კანკავამ განმარტა, რომ აღნიშნულ სტანდარტზე ძირითადად თვითონ და აზიმ მირზა ზადეჰი მუშაობდნენ. მან განაცხადა, რომ საუბარი იყო მედიცინის პროგრამაზე, სადაც აღწერილობის, პროგრამისა და მიზნების მიხედვით, რაც უნივერსიტეტს ჰქონდა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ის რაც რეალურად ნახეს ვერ ასახავდა მას. მაგ., პრაქტიკული უნარების შესწავლის მხრივ ძველ კამპუსში ის სივრცე, რომელიც კლინიკური უნარების შესასწავლად იყო გამოყოფილი, აღარ ფუნქციონირებდა, ხოლო ახალი კამპუსის ტერიტორიაზე სივრცე ახალი გახსნილი იყო და ჯერ არ ფუნქციონირებდა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით იმ პერიოდში აღნიშნული კურსი არ მიმდინარეობდა და სტუდენტები გაივლიდნენ სხვა დროს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა ამის პრაქტიკული დასაბუთება, რომ სტუდენტები ამ ყველაფერს რეალურად/სრულყოფილად ითვისებდნენ. მსგავსი მდგომარეობა იყო კლინიკური უნარების ათვისების ნაწილში, სტუდენტები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა კლინიკურ ბაზაზე, ძირითადად ისევ თეორიულ განათლებას იღებდნენ და ნაკლებად იყვნენ ჩართული კლინიკურ პროცესებში, მანიპულაციების განხორციელებაში, მათი კლინიკური უნარებიც ნაკლებად ფასდებოდა, უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით, ახალი პროგრამა ახალი დანერგილი იყო და სტუდენტებს, რომლებიც ნახეს კლინიკურ ბაზებზე, ჯერ არ ჰქონდათ დაწყებული სწავლა ახალი პროგრამით, რადგან თანდათან გადადიოდნენ ახალი პროგრამის მოთხოვნებზე. ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის გასაგები იყო ეს მდგომარეობა ისევე, როგორც კლინიკური ცენტრის მდგომარეობა, თუმცა ვინაიდან მათ ევალუბოდათ რეალური/აქტუალური მდგომარეობის ასახვა, რისი ნახვაც შეძლეს ჩათვალეს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უნდა გაეწერათ.

ექსპერტმა, აზიმ მირზა ზადეჰიმ მადლობა გადაუხადა კოლეგებს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტიდან არგუმენტირებული პასუხისთვის. მან განაცხადა, რომ მას უმუშავია როგორც ირანის ყველაზე ძველ და უდიდეს სამედიცინო პროგრამაზე, ასევე მის გარეთ ავტორიზაციებისა და აკრედიტაციების მიმართულებით, შესაბამისად მისთვის ცნობილი იყო თუ რამდენად დიდი პრობლემა შეიძლება ყოფილიყო სამედიცინო პროგრამების განხორციელების პროცესში. როგორც დაწესებულებამ აღნიშნა, მათი პროგრამები აკრედიტებული იყო, მაგრამ ვინაიდან ავტორიზაციის სტანდარტის მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამებსაც, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიღებდა, როგორც უპირობო ქეშმარიტებას და აუცილებელი იყო ამის გადახედვაც. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ ახლად შექმნილი სამედიცინო განათლების ჩარჩო, რომელსაც უნდა მორგებოდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა და სწორედ ამ კუთხით დაიწყეს მისი შეფასება. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფს არ უთქვამს, რომ სწავლის შედეგები არ იყო კარგად

ჩამოყალიბებული, პირიქით ისინი კარგად იყო დაორგანიზებული და შეესაბამებოდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და ადგილობრივ კანონმდებლობას, უმთავრესი საკითხი იყო ის, რომ სილაბუსში წარმოდგენილი იყო სწავლა-სწავლების ძალიან ბევრი მეთოდი, თუმცა მათ ჰქონდათ ვიზიტები, როგორც სტუდენტებთან ასევე დეპარტამენტების წარმომადგენლებთან და მათი ვალი იყო შეეფასებინათ არა მხოლოდ ის თუ რა ეწერა დოკუმენტებში, არამედ ის თუ როგორ ხორციელდებოდა იგი პროგრამაში. როდესაც საუბრობდნენ სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების უკეთესად თავსებადობა/თანხვედრაზე, გულისხმობდნენ მათ შორის ისეთ სწავლის შედეგებს, როგორც იყო: კომუნიკაცია, პროფესიონალიზმი, ავტონომიურობა, კლინიკური უნარები და სხვა. ექსპერტები არ ითხოვდნენ, რომ სტუდენტებს დაეფიქსირებინათ ისეთი ტიპის კომუნიკაცია და ჰქონდათ იმგვარი კომუნიკაცია პაციენტებთან, რომელიც მოითხოვდა ინფორმირებულ თანხმობას და იქნებოდა ქართული კანონმდებლობის საწინააღმდეგო, ითხოვდნენ გამოევიწყინათ ის უნარი, რომელსაც ითხოვდა დარგობრივი დოკუმენტი სამედიცინო მიმართულებით. ერთ-ერთი მათგანი იყო კოოპერაციული პრაქტიკა და ნებისმიერ პროგრამას სამედიცინო მიმართულებით სჭირდებოდა პაციენტებთან მსგავსი ტიპის კომუნიკაცია, იქნებოდა ეს როლური თამაში თუ სხვა მეთოდი. შესაბამისად მათ იცოდნენ, რომ არ უნდა გადაცდნოდნენ საკანონმდებლო ჩარჩოს, თუმცა იცოდნენ ისიც, რომ უნდა წარმოედგინათ მტკიცებულებები და ინფორმაციები, რომ სწავლის შედეგებზე, ბოლომდე მოცემული სწავლების მეთოდებით სტუდენტები ვერ გადიოდნენ, მაგ., მხოლოდ დაკვირვება იმაზე, თუ როგორ ხდებოდა პაციენტებთან კომუნიკაცია, არ იყო საკმარისი მათი შეხედულებით. მან განაცხადა, რომ კლინიკურ და პროცედურულ უნარებში შესაძლებელია ენახათ თუ როგორ გამოიყენებოდა მანეკენებსა და მულაჟებზე შესაბამისი პრაქტიკა, ისინი იღებდნენ შესაბამის ცოდნას თუ როგორ უნდა მომხდარიყო მათთან მუშაობა თუ გაითვალისწინებდნენ სტუდენტების რაოდენობას, მანეკენებისა და მულაჟების რაოდენობას და იმ სივრცეს, რომელიც გამოყოფილი იყო აღნიშნული პრაქტიკის განსახორციელებლად, იგი არ იყო დარწმუნებული აღნიშნულ პირობებში პრაქტიკის განხორციელებაში, ასევე, ექსპერტი, როგორც ირანის უმსხვილესი პროგრამისა და საავადმყოფოს წარმომადგენელი მიიჩნევდა, რომ მნიშვნელოვანი იყო ისტორიის მიღების პრინციპი, რაც შეუძლებლები იყო ე.წ. თანამშრომლობითი პრაქტიკის გარეშე, რაც გულისხმობდა, რომ სტუდენტს უნდა ესწავლათ თუ როგორ უნდა მიეღოთ ინფორმაცია პაციენტებისაგან, როგორ მოეხდინათ მათთან კომუნიკაცია და გამოეყენებინათ ე.წ. ისტორიის მიღების პრინციპი.

ექსპერტმა, ქეთევან კანკავამ განაცხადა, რომ ისტორიის მიღებაში იგულისხმებოდა ანამნეზის შეკრების პროცესი. საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ევა ეკალაძეს. საბჭოს წევრმა, ევა ეკალაძემ განაცხადა, რომ მისი კითხვაც უკავშირდებოდა სამედიცინო პროგრამას, დაწესებულებას თვითშეფასებაში ეწერა, რომ ჰქონდა ჰარდენის მე-7, მე-8 დონის ინტეგრაცია და სწორედ ამიტომ ეხებოდა აღნიშნულ საკითხს. ის დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდნენ და როგორ მიიღწეოდა აღნიშნული ინტეგრაცია? ასევე, რექტორმა ახსენა, რომ იყენებდნენ პორტფოლიოს, რაც იყო ძალიან კარგი, ფაქტობრივად მედიცინის მახასიათებლის ბოლო, დამატებულ პროფესიონალიზმს ძალიან კარგად ეხმიანებოდა და რაც აღნიშნა, რომ სტუდენტებთან ექნებოდათ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც ძალიან კარგი ფაქტორი იყო პროგრამის შემდეგი სრულყოფისა და სტუდენტებისათვის. იგი ასევე დაინტერესდა, თუ რა ტიპის პორტფოლიოს იყენებდნენ, უკვე დაიწყეს თუ არა მისი წარმოება და რა იყო მისი შინაარსი?

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნატო ალავიძემ განმარტა, რომ რექტორის თქმით პორტფოლიო საჭირო იყო და მუშაობდნენ ამ საკითხზე, ეძებდნენ საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, რათა შემდეგ თანამშრომლები და პროგრამის განმახორციელებლები გადაემზადებინათ, დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ცნობილი იყო, რომ უნდა გამოეყენებინათ პორტფოლიო და ეძებდნენ შესაბამის ნიმუშს. ჰარდენის კიბის

უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დიდ დროს წაიღებდა ამ საკითხზე საუბარი, თუმცა სურვილის შემთხვევაში შეეძლო განემარტა, რომ ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ, დიაგონალური ინტეგრაციით იყო უზრუნველყოფილი.

რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამაში ცალსახად პორტფოლიოები არ იყო, მაგრამ პერსონალი ინდივიდუალურად ამას აკეთებდა, მან სიტყვა გადასცა ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს, კახაბერ ლაზარაშვილს.

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, კახაბერ ლაზარაშვილმა პროტფოლიოსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჰქონდათ განმავითარებელი შეფასება, სტუდენტებს ძირითადად ეძლეოდათ სხვადასხვა პროექტები, მინი პროექტები, რომლებზეც სტუდენტებს უნდა გაეკეთებინათ პრეზენტაციები, რასაც მოყვებოდა კრიტიკული ანალიზის გამოვლენა აღნიშნულ პორტფოლიოში, რის საფუძველზეც ახდენდნენ განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას სტუდენტებისთვის, რასაც შემდეგ სტუდენტი გაითვალისწინებდა რა ძლიერი/სუსტი მხარეები ჰქონდა და რისთვის უნდა მიექცია ყურადღება უკეთესი აკადემიური მიღწევებისათვის, რაც მთავარია ამავე დროს ეხმარებოდა სამეცნიერო უნარების განვითარებას.

რექტორმა განაცხადა, რომ ვიზიტი დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული იყო არასასწავლო პერიოდი, შესაბამისად მიმდინარეობდა ძველი კამპუსიდან იმ აღჭურვილობის გადაზიდვა, რომელიც უნდა ყოფილიყო ახალ კამპუსში, მასში ძირითადად ყველაფერი ახალი იყო, თუმცა მულაჟების დიდი ნაწილი ძველი იყო, აქედან გამომდინარე ძველ კამპუსში ფიზიკურად აღარ აღმოჩნდა კლინიკური უნარების ლაბორატორია, რადგან უკვე ახალ კამპუსში იყო გადატანილი. დაახლოებით 100 კვ.მ იყო კლინიკური უნარების ლაბორატორია და რაოდენობა, რომელიც დაასახელეს 250, ისე იყო მოწყობილი, რომ 15-16 სტუდენტზე ლექციის მიხედვით თავისუფლად იყო შესაძლებელი ლექციების ჩატარება. მან განაცხადა, რომ აღნიშნული მიმართულებით გიორგი გოცაძე იყო ხელმძღვანელი, ძალიან გამოცდილი ადამიანი, მათი აკადემიური პერსონალი და არც პერსონალისგან და არც სტუდენტებისგან მსგავსი ტიპის ტექნიკური ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა მისთვის გასაგები იყო ექსპერტების მოსაზრება, რადგან გადაადგილების პროცესში ინფორმაციის უკამყოფილობის განცდა შესაძლებელია გაჩენოდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ როდის განხორციელდა ვიზიტი.

რექტორმა განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა აპრილში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა აპრილში სამედიცინო პროცესი.

რექტორმა განაცხადა, რომ ნოემბერში დაიწყეს სწავლა, რადგან გახანგრძლივდა სტუდენტების ჩამოსვლის პროცესი, მარტში დასრულდა პირველი სემესტრი და მეორე სემესტრი მაისში დაიწყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მედიცინის მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ საგნების შესწავლას, რომელიც ხორციელდებოდა სტაციონარში. მისთვის ცნობილი იყო, რომ თბილისის სტაციონარებს ჰქონდათ ხელშეკრულებები ერთდროულად უამრავ სამედიცინო დაწესებულებასთან. პირველ რიგში უნივერსიტეტს უსურვა, რომ მომავალში ჰქონოდათ საკუთარი კლინიკა, რაც ძალიან გამოადგებოდათ. დაინტერესდა იმ კლინიკებს შორის, რომლებთანაც ჰქონდათ ხელშეკრულება, თუ იყო ისეთი, რომელსაც მხოლოდ მათთან ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული?

რექტორი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ კლინიკა კარგი იქნებოდა უნივერსიტეტისთვის და მადლობა გადაუხადა მას ამ სურვილისათვის. მან განაცხადა, რომ როგროც კი კამპუსი დამთავრდებოდა, სამოქმედო გეგმაშიც ჰქონდათ გაწერილი და შერჩეული ჰქონდათ 3-4 კლინიკა, რომლებიც მათი ინტერესის სფეროში იყო, მათი მოსაზრებით უახლოეს 2 წელში, მათ უნდა ჰქონოდათ საუნივერსიტეტო კლინიკა, ინვესტიციების საფუძველზე. არსებულ კლინიკებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ლუდუშაურის სახელობის კლინიკასთან ჰქონდათ სპეციალური კონტრაქტი, ეს არ იყო მემორანდუმი და ჩვეულებრივი რიგითი ხელშეკრულება, რომ სტუდენტები წასულიყვნენ და მიეღოთ კლინიკური უნარების სწავლების შესაძლებლობა და შემდეგ დაბრუნებულიყვნენ, არამედ, კონტრაქტის თანახმად

კლინიკა ვალდებული იყო პირველ რიგში დაეკმაყოფილებინა განსახილველი უნივერსიტეტის მოთხოვნები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა აქვს თუ არა მხოლოდ განსახილველ უნივერსიტეტს კონტრაქტი ღუდუმაურის სახელობის კლინიკასთან და სხვას არავის?

რექტორმა განმარტა, რომ მარტო მათ არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს აინტერესებდა, რადგან კარგია, როდესაც დაწესებულება აპირებდა კამპუსის გაკეთებას, ყველა უნივერსიტეტმა, რომელსაც ჰქონდა მედიცინის პროგრამა ან უნდა ჰქონოდა თავისი კლინიკა ან მინიმუმ ფართო პროფილის კლინიკასთან ჰქონოდა ხელშეკრულება. მან სთხოვა, წარმოედგინათ კლინიკა, სადაც 3-4 უნივერსიტეტის სტუდენტები შედიოდნენ და კლინიკის პერსონალი ნორმალურად იქნებოდნენ დასაქმებულნი. მისი გამოცდილებით, თუ კათედრის ან უნივერსიტეტის პერსონალი სავადმყოფოში კარგად არ იყო ჩანერგილი, იქ მაღალხარისხიან სწავლებაზე საუბარი ზედმეტი იყო. მას ძალიან გაუხარდა, რომ უნივერსიტეტი აპირებს კამპუსის გაკეთებას და წარმატებები უსურვა მათ, ასევე, აღნიშნა, რომ რაც უფრო მრავალპროფილიანი იქნებოდა მათი კლინიკა უფრო წარმატებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს მოწვეული წევრს, თამარ ვალიშვილს.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, თამარ ვალიშვილმა 7.1 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაცია იყო და ნაწილობრივ სხდომაზე უკვე იყო ამაზე საუბარი. რექტორმა აღწერა სიტუაცია და ექსპერტებიც შეეხნენ აღნიშნულ საკითხს, თუმცა მას სურდა უფრო დაეზუსტებინათ რეკომენდაციის შესახებ - უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები - აქედან გამომდინარე დაინტერესდა ექსპერტთა მოსაზრებით თუ რამდენად საკმარისი იყო აღჭურვილობა, რადგან რამდენადაც ცნობილი იყო, დაწესებულებას ჰქონდა კლინიკური უნარების ლაბორატორია და უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საკმარისი იყო რესურსები. შესაბამისად, საბჭოს მოწვეული წევრი დაინტერესდა თუ რატომ დაიწერა რეკომენდაცია და რას გულისხმობდნენ ექსპერტები?

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს საკითხი ერთხელ უკვე განმარტეს.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, თამარ ვალიშვილმა 2.1 კომპონენტთან მიმართებით განაცხადა, რომ საუბარი იყო ინგლისურის გაუმჯობესებაზე და დაინტერესდა თუ რას ეხებოდა აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან აღწერით ნაწილში განმარტებული არ იყო, თუმცა დოკუმენტაციიდან ჩანს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე, თუმცა რეკომენდაცია მაინც იყო გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ ეგულება თბილისში/საქართველოში უნივერსიტეტი, რომელსაც აწყენდა ინგლისური ენის გაუმჯობესება.

საბჭოს მოწვეული წევრმა, თამარ ვალიშვილმა განმარტა, რომ აინტერესებდა რასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია?

ექსპერტმა, ქეთევან კანკავამ განაცხადა, რომ მეორე სტანდარტზე ძირითადად ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ იმუშავა, თუმცა ინგლისურის საკითხი ყველასთვის ერთგვაროვნად იყო წარმოდგენილი, იგი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ არავის აწყენდა ინგლისურის დონის გაუმჯობესება და კიდევ ერთი ფაქტორი იყო ის, რომ ყველა ინტერვიუზე სჭირდებოდათ თარჯიმნის დახმარება, რომლებიც იყო ისეთ თანამშრომლებთან, რომლებმაც იცოდნენ ინგლისური ენა, მათი ბექგრაუნდიდან გამომდინარე, თუმცა ამჯობინებდნენ ქართულ ენაზე საუბარს.

ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ მან ინგლისური იცოდა, თუმცა მისთვის არავის უთქვამს, რომ ინგლისურად ესაუბრა და თარჯიმანი თავისთავად თარგმნიდა, რაც არ იყო პრობლემა, დანარჩენ დეკანებს კი არ ევალუბოდათ ინგლისურის ცოდნა, რადგან ზოგადად არ იყო სავალდებულო დეკანისთვის ცოდნოდა ინგლისური, თუ არ ჰქონდა ინგლისურენოვანი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გოდერძი ბუჩაშვილს.

საბჭოს წევრი, გოდერძი ბუჩაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს არგუმენტირებული პასუხებისთვის. მან განაცხადა, რომ მისი კითხვა ეხებოდა სტატუს შეჩერებულ სტუდენტებს და დაინტერესდა თუ რა პოლიტიკა ჰქონდა დაწესებულებას მათთან დაკავშირებით?

განათლების დეპარტამენტის უფროსი, ქეთევან აფთარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, ასევე საბჭოს წევრს, გოდერძი ბუჩაშვილს დასმული კითხვისათვის. მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროცესი დეტალურად აღწერეს/შეაფასეს თვითშეფასების დოკუმენტში, სადაც წარმოდგენილი იყო სტატუსის შეჩერების დინამიკაც, სადაც ჩანდა, რომ საგრძნობლად იკლებდა სტატუსის შეჩერება წლების მიხედვით, რაც გამომდინარეობდა უნივერსიტეტის მიდგომიდან/მექანიზმიდან, რაც მან შექმნა, სადაც იგულისხმებოდა ინდივიდუალური გადახდის გრაფიკი, რაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან სტუდენტს შეეძლო ესარგებლა გადახდის ინდივიდუალური სისტემით, გარდა დაფინანსების ამ წყაროსი, არსებობდა სხვა წყაროებიც, როგორც იყო სპეციალურად შემუშავებული წესი სოციალურად დაუცველი პირებისთვის და იმ პირებისთვის, ვისაც სჭირდებოდა ფინანსური მხარდაჭერა, რომ მომხდარიყო სტუდენტის სტატუსის აღდგენა, ვინც სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ვერ აგრძელებდა სწავლას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პანდემიის პირობებში, რა ტიპის მხარდაჭერაც აღმოუჩინა უნივერსიტეტმა სტუდენტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო, რომ 2021 წელს ჩარიცხული სტუდენტებიდან 30%-იანი საუნივერსიტეტო დაფინანსებით ისარგებლეს და ამავდროულად მათ ჰქონდათ სრული წვდომა ინტერნეტთან და სხვა ტიპის დახმარების აღმოჩენა მოხდა მათი სტუდენტებისთვის, რათა სრულად ყოფილიყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და ამის გამო არ შეეჩერებინათ სტატუსი, რაც დინამიკაშიც ჩანდა, თუ როგორ მოხდა სტატუსის აღდგენა ამ პერიოდის განმავლობაში. მან მადლობა გადაუხადა ფაკულტეტებს ჩართულობისთვის და მენეჯერს, რომელიც მუდმივ კომუნიკაციაში იყო სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან და სთავაზობდა ზემოაღნიშნულ მექანიზმებს.

ექსპერტმა, ლილი შატბერაშვილმა განმარტა, რომ შეეხებოდა მეექვსე სტანდარტს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები იყვნენ შთაბეჭდილების ქვეშ, რადგან უნივერსიტეტი ნამდვილად იყო მონდომებული, ბევრ ფინანსურ/ინტელექტუალურ რესურსს დებდა კვლევის წარმოებაში, რაც მათი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იყო, რამაც გარკვეულწილად მოახდინა გავლენა შეფასებაზე. აფილირებული პერსონალის მონაწილეობასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საუბარი იყო, აფილირებული პერსონალის მონაწილეობაზე კვლევით პროექტებში. უნივერსიტეტს ჰქონდა რეგულაცია, რომლის მიხედვითაც აკადემიური პერსონალის მინიმუმ ნახევარი, უნდა ყოფილიყო აფილირებული და ეს გასაგები იყო. რაც შეეხება კვლევით პროექტებს, მან შეისწავლა ის ინფორმაცია, რომელიც მითითებული იყო ვებ გვერდზე და ნამდვილად ასე იყო, რომ რამდენიმე კვლევითი პროექტის ხელმძღვანელიც კი იყო არააფილირებული პერსონალი, რაც მისი მოსაზრებით ცუდი არ იყო, რადგან ეს მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის მდგრადობის განვითარებისათვის, რომ მას ყოლოდა ძირითადად აფილირებული პერსონალი.

უნივერსიტეტის პერსონალის დატვირთვისთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი იყო მინიმალური საათები, რომლებიც მათ უნდა დაეთმოთ, მაგ., კვლევისთვის, ძალიან კარგი იყო, რაც რექტორმა განაცხადა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულების დადებისას განისაზღვრებოდა აკადემიური პერსონალის შესაძლებლობიდან/ამოცანებიდან გამომდინარე, თუმცა ცხრილში ცალსახად ეწერა სავალდებულო/მინიმალური დატვირთვა. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ბევრ აფილირებულ/არააფილირებულ პერსონალს სხვადასხვა მონაცემები ჰქონდათ, რაც არ სრულდებოდა. მან განაცხადა, რომ მისთვის გასაგები იყო უნივერსიტეტის მოქნილობა, ხელშეკრულებების შესაბამისობა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ცხრილს, სადაც გაწერილი იყო

სავალდებულო დატვირთვები? რექტორმა განაცხადა, რომ მათ შორის მაქსიმალური დატვირთვაც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან, რაც ძალიან კარგი იყო, თუმცა ის მონაცემები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს მოგვიანებით გადაეცათ უნივერსიტეტისგან, თავიდან ჰქონდათ ცენტრის მიერ მიწოდებული მონაცემები, რომლებიც მოიცავდა ცალკეული პერსონალის დატვირთვას არა მხოლოდ განსახილველი უნივერსიტეტის, არამედ სხვა უნივერსიტეტების ფარგლებშიც და შემდგომ ექსპერტთა ჯგუფის თხოვნით დაწესებულებამ გადააგზავნა ცხრილი, რომელიც სრულიად არ ემთხვეოდა აღნიშნულ ცხრილს. ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი იყო, რომ საათობრივი დატვირთვის პრობლემა ზოგადად არსებობდა, ასევე მეცნიერი/ექსპერტი, რომლებიც წარმოუდგენელს აკეთებდა, მუშაობდნენ ძალიან ბევრს და ვალდებულნი/იმულებულნი იყვნენ სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მაგრამ იმის თქმა რომ დატვირთვა იყო იდეალური ყველაფერი კარგად იყო, ექსპერტის მოსაზრებით არ იყო მართებული. საუბარი იყო ორ საკითხზე: მინიმალური დატვირთვა, რომელსაც უნივერსიტეტი უწესებდა ცალკეულ პერსონალს, რისი ვალდებულებაც უნივერსიტეტს არ გააჩნდა და მისთვის გაუგებარია, თუ რას ემსახურებოდა, როდესაც მაინც მოქნილად/კონკრეტულად მიიღებოდა გადაწყვეტილება, თუ რა უნდა ყოფილიყო მინიმალური დატვირთვა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის ცნობილი იყო, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულ დატვირთვაზე მეტს მუშაობდა ბევრი პროფესორი, რაშიც ცუდი არაფერი არ იყო, რეკომენდაცია კი ემსახურება იმას, რომ იყოს მსჯელობა/ფიქრი აღნიშნულ საკითხზე. კვლევის კომპონენტებიდან მხოლოდ ერთი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, დანარჩენი ორი კი, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ის რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა კვალიფიციური მუშაობა, ამიტომ შეაფასეს ისე, როგორც დასკვნაში იყო ასახული.

კვლევის შედეგების ინტეგრირებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ როგორც რექტორმა აღნიშნა ძალიან ბევრი, კვალიფიციური პერსონალი გააჩნდა უნივერსიტეტს, მათ ჰქონდათ ბევრი ნაშრომი, როგორც მეცნიერული კვლევები, ასევე სახელმძღვანელოები და ა.შ. ისინი გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში. საუბარი იყო არა იმაზე, რომ პერსონალის არსებული მასალები გამოყენებულიყო სასწავლო პროცესში, არამედ იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა დაიწყო კვლევა აღნიშნული კვლევის შედეგების ინტეგრირება მომხდარიყო სასწავლო პროცესში, რაც ექსპერტთა ჯგუფმა ვერც დოკუმენტაციაში ნახა და ვერც პასუხი მიიღო ინტერვიუების დროს, არამედ მათ უთხრეს, რომ კონკრეტულად ვერ დაასახელებდნენ, თუმცა მიდგომები, რომლებიც არსებობდა უნივერსიტეტში, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნიშნავდა, რომ დაწესებულებას სწორად ჰქონდა გააზრებული და დიდი ალბათობით ამოცანები განხორციელდებოდა უნივერსიტეტის საქმიანობაში. შრომის ბაზრის კვლევა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ კიდევ სხვა კვლევებზეც იყო საუბარი.

ინგლისურ ენასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ყოველი ინტერვიუს წინ რესპოდენტებს უსვამდნენ კითხვას შესაძლებელი იყო თუ არა ესაუბრათ ინგლისურად? მაგრამ, მათ ერჩივნათ სახელმწიფო ენაზე საუბარი, რადგან უკეთესად გამოთქვამდა სათქმელს ის პირი კი, ვინც სხვა ენაზეც საუბრობდა, უბრალოდ როგორც ექსპერტმა, ქეთევან კანკავამ განაცხადა, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი იყო, რომ რესპოდენტებთან შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ინგლისურად საუბარი მაინც არჩევდნენ ქართულს, რაც არ იყო პრობლემა. დაწესებულებას ჰქონდა 4 ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელთა ანონსში ეწერა, რომ მაღალკვალიფიციური ინგლისურენოვანი დოცენტები/პროფესორები ასწავლიდნენ, როდესაც დაწვრილებით მიმოიხილეს აღმოჩნდა, რომ არ იყო ბევრი ასეთი, რაც არ იყო პრობლემა, თუმცა, როდესაც დაწესებულება აღნიშნულ მიზანს ისახავდა და ასეთ ანონსს აკეთებდა ამაზე იყო საუბარი, შესაბამისად სასურველი იყო ინგლისურენოვან პროგრამაზე, სადაც თავად თვლიდნენ, რომ ყოფილიყვნენ საერთაშორისო ექსპერტები, ეს უნდა განეხორციელებინათ, რაც დასკვნაში არ ჩაიწერა, რადგან დაწესებულებას ეს გააზრებული ჰქონდა და მუშაობდნენ კიდევ ამასთან დაკავშირებით.

ზოგადად უნივერსიტეტის შესახებ ექსპერტმა განაცხადა, რომ ძალიან კარგი შთაბეჭდილება შეექმნა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებასთან დაკავშირებით, მაგრამ გაწერილი რეკომენდაციები მისი მოსაზრებით გამართლებული იყო. მან წარმატება უსურვა უნივერსიტეტს და აღნიშნა, რომ ძალიან კარგად ორგანიზებული უნივერსიტეტი იყო, კრიტიკული შენიშვნები კი მათთვის სამომავლო იმპულსი იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ნებისმიერი რეკომენდაცია გაეკეთებინათ და წარედგინათ დასკვნაში, სხდომაზე იმაზე საუბარი, რომ რაღაცის ჩაწერა უნდოდათ და არ ჩაწერეს მიუღებელია.

რექტორმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტს, მან განაცხადა, რომ არ იცოდა თუ კონკრეტული ექსპერტი მუშაობდა აღნიშნულ სტანდარტზე და არც ჰქონდა მნიშვნელობა. მან განაცხადა, რომ რექტორის ლექსიკონში არ არსებობდა სიტყვა „ყველაფერი კარგად არის“, არასდროს უთქვამს და არც არასდროს არის ყველაფერი კარგად. ერთადერთი რაზეც მან აქცენტი გააკეთა იყო, რომ რადგან კითხვები იყო დასმული, წაიკითხა ჩანაწერი, რომ საერთო ჯამში პერსონალის სამუშაო დატვირთვა შეესაბამებოდა კოდექსის მოთხოვნებს. მან აღნიშნა, რომ 15 წელია უნივერსიტეტების ცენტრალურ ადმინისტრაციაში მუშაობდა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტში. მისი მოსაზრებით საათობრივი დატვირთვის საკითხი მოსაფიქრებელი იყო და უკეთესი იქნებოდა, რომ გაეუმჯობესებინათ, უბრალოდ მას ჩანაწერიდან დარჩა შთაბეჭდილება რომ ექსპერტთა ჯგუფი ზემოაღნიშნულს გულისხმობდა და ეთანხმებოდა თუ არა, რექტორს საერთოდ არ გაუჟღერებია. მან მაღლობა გადაუხადა ექსპერტს, რადგან უნივერსიტეტის მისწრაფება კვლევითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად დაინახა და მისცა მაღალი შეფასება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტისთვის. ამასთანავე, კვლევა ის სტანდარტი და მიმართულება იყო, რომ თუ ვინმე ამით თავს მოიწონებდა მასთან სხვა საუბარი იყო საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო. წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:22 წუთზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 18:30 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :

2 0

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი

პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ენდი გიბსი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა კორონავირუსის პანდემიის პირობებში, შესაბამისად ისინი 2 დღის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში შეხვდნენ რექტორს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, მათ წარმომადგენლებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ხოლო მესამე დღეს ჰქონდათ ადგილზე ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტი. მოცემული ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფის სრული ჩართულობით, რომელიც გადაეგზავნა ცენტრს და სამუშაო გარემო, როგორც ექსპერტებს, ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შორის იყო თანამშრომლობითი და ურთიერთგაგებაზე ორიენტირებული. ექსპერტთა ჯგუფმა თავდაპირველად მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია და ისინი იყვნენ სასიამოვნოდ გაოცებულნი იმ პროცედურებით/პროცესებით რაც ნახეს ევროპის უნივერსიტეტში. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი და მისი ეფექტურობა, ის ქმედებები და აღწერილობითი დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნული მიმართულებით გააჩნდა უნივერსიტეტს, რომელსაც ასევე გააჩნდა კარგად ფორმულირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა და ქმედებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მის მისიას. მან აღნიშნა უნივერსიტეტის შესაბამისობა ადამიანური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსების მოთხოვნებთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებით, განსახილველი უნივერსიტეტის განვითარება იყო მდგრადი და პროგრესზე ორიენტირებული, ეს იყო ყველაზე სასიამოვნო გამოცდილება საქართველოში ჩატარებული ავტორიზაციის ვიზიტებს შორის.

მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა არსებითი და ფუნდამენტური წინააღმდეგობა ან კრიტიკა სტანდარტებთან მიმართებით. მათი მოსაზრებით უნივერსიტეტს ასე უნდა გაეგრძელებინა/გაეღრმავებინა მუშაობა მისი განვითარების გზაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა უნდა განეხილა თითოეული რეკომენდაცია ცალ-ცალკე, თუ ზოგადად უნდა ესაუბრა მათ შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან საბჭო იცნობდა თითოეულ რეკომენდაციას, უმჯობესი იქნებოდა თუ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ზოგადად მიმოიხილავდა მათ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დასაქმებულების საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და საგანმანათლებლო პროცესების შესახებ

განაცხადა, რომ ეს არსებობდა, თუმცა მათი აზრით უნდა გაძლიერებულიყო, გაღრმავებულიყო, ასევე შეეხო გამოკითხვის რამდენიმე ფორმას და აღნიშნა, რომ დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უნდა გაზრდილიყო, რათა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ბოლომდე ყოფილიყო მიღწეული/ჩამოყალიბებული.

უნივერსიტეტის ამოცანებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა პრობლემა მასთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ უნდა არსებობდეს „ბენჩმარკები“, რათა ამოცანების მიღწევადობა მსგავსი ტიპის დაწესებულებებთან მიმართებით ყოფილიყო უზრუნველყოფილი/დადასტურებული.

მან ისაუბრა გარკვეულ გამოწვევებსა და შეჯიბრებითობაზე საერთაშორისო სტუდენტებთან მიმართებით, რაც დაწყებული ჰქონდა, თუმცა უნივერსიტეტს უნდა გაეძლიერებინა ძალისხმევა და გაეგრძელებინა მუშაობა.

მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და აღნიშნა, რომ მათ შეეძლოთ პასუხი გაეცათ ყველა კითხვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს პოზიციის დაფიქსირებისათვის.

ექსპერტი, ია ფანცულაია მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყველაფერზე დეტალურად ისაუბრა. მისი თქმით პროგრამებთან მიმართებით შენიშვნები არ ყოფილა, შენიშვნები ძირითადად იყო ავტორიზაციასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო ზაზა ავალიანი მედიცინის კუთხით. თვითონ პროგრამა, ავტორიზაციის კუთხით ექვემდებარებოდა სტანდარტებს. ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც გაიცა, უკავშირდებოდა იმას, რომ უფრო მეტად უნდა ყოფილიყვნენ სტუდენტები ჩართულნი პროგრამის დაგეგმვის პროცესში, უფრო მეტად კი აკადემიური პერსონალი.

ექსპერტი, ხათუნა საგანელიძე დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოსაზრებას უნივერსიტეტთან მიმართებით, ექსპერტები სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დარჩნენ თუ რამდენად სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა განსახილველი უნივერსიტეტი. გასაუბრებისას აღმოაჩინეს, რომ მენეჯმენტმა განიცადა აბსოლუტური რესტრუქტურისაცა და ახლებურად შეხედა მართვას, რაც დადებითად აისახა უნივერსიტეტის განვითარებაზე. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაციები, რომ იდეალურად იყო მოწესრიგებული შიდა ხარისხი, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თუმცა სასურველი იყო მოწვეული/აკადემიური გუნდის, სტუდენტების გაძლიერება და მხოლოდ ამიტომ მოხვდა რეკომენდაციაში, თუმცა ვინაიდან ჯობდა უნივერსიტეტი არ მოდუნებულიყო, აღნიშნული ამიტომ გაიცა რეკომენდაციის სახით და არა რჩევის სახით.

ექსპერტმა, ნინო დოლიძემ განაცხადა, რომ მან იმუშავა მეექვსე სტანდარტზე, სადაც გაცემული იყო მხოლოდ რჩევა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის პოტენციალი, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი არ იყო კვლევითი უნივერსიტეტი სტრატეგიულ გეგმაში ეწერა, რომ უნდა გახსნილიყო სადოქტორო პროგრამა, რის გამოც, გაიცა ერთი რჩევა, რომ უფრო დეტალურად ყოფილიყო გაწერილი სტრატეგიულ გეგმაში თუ როგორ აპირებდნენ სადოქტორო პროგრამაზე გადასვლასა და მის ჩამოყალიბებას. ასევე რჩევა იყო გაცემული ინტერდისციპლინური კვლევების გაძლიერების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლები ატარებდნენ ასეთ კვლევებს სამი მიმართულებით და სამივე მიმართულებით ჰქონდათ რეფერირებადი ჟურნალი. ასეთი გამოყენებითი/ინტერდისციპლინური კვლევების გამოქვეყნების ძალიან კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, რასაც მისი მოსაზრებით მომავალში აუცილებლად გამოიყენებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

რექტორი, ნინო ტალიაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობითი გარემოს შექმნისა და დადებითი შეფასებისთვის. მან განაცხადა, რომ ევროპის უნივერსიტეტი განვითარებაზე ორიენტირებული

უნივერსიტეტი, ამიტომ ასევე მადლობა გადაიხადა განმავითარებელი რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის. სადოქტორო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი იყო, რომ 2022 წელს უნდა შეეფასებინათ მზაობა, თუ რამდენად შეეძლოთ შეეცვალათ სტატუსი და დაემატებინათ სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად, 2022 წელს უკვე დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი, 2025 წელს კი სამიზნე ნიშნული იყო, რომ შეცვლილი ჰქონდეთ სტატუსი და ახორციელებდნენ სადოქტორო პროგრამას. მან სიტყვა გადასცა ვიცე-რექტორს, სოფიო ხუნდაძეს.

ვიცე-რექტორი, სოფიო ხუნდაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროფესიონალიზმისთვის, კოლეგიური დამოკიდებულებისათვის, სამუშაო გარემოს შექმნისთვის, გაზიარებული შეფასებებისა და განმავითარებელი რეკომენდაციებისათვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციებს და დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებები არ ემსახურებოდა ექსპერტთა ჯგუფისთვის არ დათანხმებას, რადგან ისინი ეთანხმებიან, მაგრამ სურდათ, საბჭოს წევრებისა და ექსპერტებისთვის ეჩვენებინათ ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგეს ვიზიტის შემდეგ, რომ კიდევ უფრო მეტად განვითარდნენ და სურდათ, ეჩვენებინათ საბჭოს წევრებისა და ექსპერტთა ჯგუფისათვის, რომ არ ჩერდებოდნენ.

ხარისხის კულტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ძალიან სწორად დაინახა პროცესები და დაწესებულებამ მიიღო ძალიან სწორი განვითარების მიმართულება, რადგან მათაც ჰქონდათ გასაუმჯობესებელ მხარეებში გამოყოფილი სტუდენტთა ჩართულობა პროცესებში, რისი დამადასტურებელი ისიც იქნებოდა, რომ დგამდნენ გარკვეულ ნაბიჯებს აღნიშნული მიმართულებით. ბოლო პერიოდში დაწესებულებამ გააკეთა მიმართვა საერთაშორისო პროექტზე, რომელიც გულისხმობდა საერთაშორისო ექსპერტების დახმარებას უნივერსიტეტისთვის, მის მიმართ გამოყოფილი მიმართულებების შესახებ, რათა გაეზიარებინათ განვითარების გზები. დაწესებულებამ განაცხადა, რომ გამოყო სამი მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ხარისხის კულტურის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. განაცხადა, რომ მიიღეს თანხმობა და გამოყვეს 2 უცხოელი ექსპერტი, რომლებსაც დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად უნდა ემუშავათ აღნიშნული მიმართულებით, დანარჩენ 2 მიმართულებასთან ერთად. მათი თქმით, პირველი სამუშაო შეხვედრა უკვე ჰქონდათ და ექსპერტებს გაუზიარეს შესაბამისი დოკუმენტაცია. ჩართულობის შესახებ განაცხადა, რომ მექანიზმები ნამდვილად არსებობდა, თუმცა დასკვნაშიც იყო აღნიშნული, რომ საინტერესო იყო თუ რამდენად ღირებულ უკუკავშირს იღებდნენ დაინტერესებული მხარისგან, დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად ფიქრობდნენ აღნიშნულ საკითხზე. ჩართულობის გასაზრდელად სტუდენტები შეიყვანეს პროგრამის განმავითარებელ კომიტეტებში და ფიქრობდნენ, რომ დადებითად აისახებოდა და გარკვეულ შედეგს გამოიღებდა, ასევე ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრა, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. როდესაც დაწესებულების წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ კითხვარებზე უფრო მეტად პირისპირ შეხვედრებით მიიღებდნენ უფრო ღირებულ რეკომენდაციებს, გააძლიერეს მუშაობა ამ კუთხით. იგეგმებოდა ფოკუს-ჯგუფებთან სტუდენტებთან შეხვედრები და ფიქრობდნენ, ეს დაეხმარებოდათ ღირებული რეკომენდაციები მიეღოთ დაინტერესებული მხარეებისაგან. დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ მეტად გაეძლიერებინათ მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მუდმივად გაზიარებულიყო უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან, იმ კუთხით თუ რა გაიზიარეს და რა ნაბიჯები გადადგეს მათი რეკომენდაციების საპასუხოდ. ფოკუს-ჯგუფების შეხვედრის დროსაც ერთ-ერთი მიზანი იყო მათგან ინფორმაციის მიღება, მაგრამ თავისი მხრიდანაც აწვდიდნენ უკუკავშირებს თუ რა გაითვალისწინეს, სტუდენტებს ეძლეოდათ დიდი მოტივაცია. ბოლო რაც განახორციელეს იყო ის, რომ გამოაცხადეს კონკურსი, სტუდენტთა ჯგუფის შესაქმნელად, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებდნენ მექანიზმების

შეფასების კუთხით და ფიქრობდნენ, შეეფასებინათ კითხვარები რათა მათგან მიეღოთ ინფორმაცია, თუ რამდენად აძლევდათ კითხვარები იმის საშუალებას გამოეხატათ ყველაფერი რისი გამოხატვაც სურდათ.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ გასაგები და ნათელი იყო სურათი და რაიმე საკითხის დაზუსტების სურვილის შემთხვევაში სიტყვა გადასცა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრი, ლელა სალაყაია ერთ-ერთ რეკომენდაციასთან (დასაქმების უნარები შევიდეს ყველა სასწავლო პროგრამაში) დაკავშირებით დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა, რომელიმე კონკრეტულ პროგრამასა თუ Softskill-ზე იყო აქცენტი გაკეთებული?

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ენდი გიბსმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი სასიამოვნოდ გაოცდა და მოეწონათ დასაქმების უნარების ტრენინგი, მაგრამ ვინაიდან ტრენინგი იყო არაფორმალური განათლების ელემენტი და არა ფორმალურის, ისინი მიიჩნევდნენ, რომ თუნდაც ბოლონის პროცესის მიხედვით ეს უნდა ყოფილიყო კრედიტებზე დაფუძნებული სისტემა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით კურიკულუმში ანუ ფორმალურ განათლებაში აუცილებელი იყო, ე.წ. დასაქმების უნარების კომპონენტის ინტეგრირება არა მხოლოდ არაფორმალურად, არამედ ინტეგრირება ყველა კომპონენტში.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალამემ განაცხადა, რომ იგი დიდი ხანია, იცნობდა უნივერსიტეტს და უყურებდა მის განვითარებას და ისეთი დიდი ნაბიჯები იქნა გადადგმული, რომ რამდენიმე წელში ასეთი დასკვნის დადება საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მიერ დიდი წარმატება იყო. ნებისმიერი რეკომენდაცია, უფრო მეტიც რომ ყოფილიყო დაწესებულებისთვის არ იქნებოდა შესრულება პრობლემა და საბჭოს წევრის მოსაზრებით დაწესებულებას შესაბამისად უნდა დაფასებოდა შრომა რომელიც ჩაიდო მტელ ამ პროცესში, მას კი მხოლოდ დადებითი შეეძლო ეთქვა.

საბჭოს თავჯდომარემ შეჯამების სახით, აღნიშნა რომ დაწესებულებამ და ექსპერტებმა ძალიან კარგად იმუშავეს ძალიან მოკლე ვადაში და ძალიან საინტერესო შედეგები დადეს, რაც ძალიან კარგი იყო, წარმატებები უსურვა დაწესებულებას და იმედი გამოთქვა რომ სხვადასხვა ფორმატებში აუცილებლად ექნებოდათ შეხვედრების შესაძლებლობა.

საბჭოს თავჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 19:07 წუთზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 19:20 წუთზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ევროპის უნივერსიტეტის 6 წლის ვადით ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :

2 2

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 88 - ე მუხლის

პირველი პუნქტის, 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ევროპის უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 19:16 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

